ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2024 წლის 25 სექტემბერი

ქ. ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 აგვისტოს №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/08/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.138.016547) და დადგენილების:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „,ა“ ქვეპუნქტით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით – სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს;“

2. მე-4 მუხლის პირველ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით – სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ლომიძე**